




ხაშურის მთაშუა



№8 (189)

25 თებერვალი, ორშაბათი,

2019 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

20 თებერვალს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია. სესიას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნოზაძე. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სესიაზე დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს მიერ ადრემილებულ რამდენიმე დადგენილებაში. სხდომის ძირითადი დრო კი დაეთმო საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოციალური-ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცებას. საკრებულოს წევრებმა დეტალურად იმსჯელეს თითოეულ სოფელში განსახორციელებელი პროექტების შესახებ. იყო აზრთა სხვადასხვაობა. დებატების შემდეგ, დეპუტატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ნუსხას, რომელიც დამტკიცდა კიდევ. (იხ. მეორე გვერდზე)



სურამის ციხეზე არქეოლოგიური გათხრები ჩაყრდება

გასულ კვირას, შიდა ქართლის გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორთან ნიკა ანთიძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, დაბა სურამში იმყოფებოდა. მათ, ერთობლივად იმსჯელეს სურამის ციხის სამომავლო რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

გიორგი ხოჯევანიშვილი: ჩვენი რეგიონი ისტორიული თუ ტურისტული თვალსაზრისით საინტერესო და მრავალფეროვანია, თუმცა იმისთვის, რომ შესაძლებლობები მაქსიმალურად ავითვისოთ, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ შესაბამის სამსახურებთან. სურამის ციხეს დიდი ხანია სარესტავრაციო სამუშაოები არ ჩატარებია. დაბა საკურორტო ზონაა, ამიტომ მისი განვითარებისთვის აუცილებელია იქ არსებული ისტორიული და კულტურული ობიექტების მოწესრიგება. სურამის ციხე ისტორიული ძეგლია თავისი ცნობილი ლეგენდით, ამიტომ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ძალიან მნიშვნელოვანია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვგეგმავთ მჭიდრო თანამშრომლობას და კონცეფციაზე მსჯელობას როგორც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან, ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტთან და თემით დაინტერესებულ ნებისმიერ პირთან. აქვე დავამატებ, რომ მიმდინარე წელს, დაბა სურამში არსებული ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციაც ჩატარდება და მნახველებს გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით უმასპინძლებს. შეიძლება ითქვას, რომ წელს რეგიონში ბევრი სიახლე გვექნება.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პირველ ეტაპზე განხორციელდება არქეოლოგიური სამუშაოები, ხოლო შემდეგ კონსერვაცია. აქვე გეტყვი, რომ სურამის ციხეს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბოლოს, დაახლოებით 80-იან წლებში



ჩაუტარდა. ამ სამუშაოების დაწყება კი, ნამდვილად, დროული იყო, გამომდინარე იქიდან, რომ სურამის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვანი განსახილველი საკითხი სურამის ციხე გახლდათ. დიდი ხანია, რაც მოსახლეობას ციხიდან ჩამოცვენილი ქვები საფრთხეს უქმნის, განსაკუთრებით მათ, ვინც ნაგებობის მიმდებარედ ცხოვრობს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №15

2019 წლის 20 თებერვალი
ხაშური

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოციალური-ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცების და პროგრამის განხორციელებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გაიმართა საერთო კრებები და კონსულტაციები, რა დროსაც, გამოკვეთა პრიორიტეტები, შესაბამისად, საჭიროა დამტკიცდეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოციალური-ეკონომიკური პროექტების ნუსხა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2019

წლის 22 იანვრის №45 განკარგულების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით დანართი №1-ით განსაზღვრულ დასახლებებში, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე შედგენილი სოფლის სოციალური-ეკონომიკური (ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა/რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება და სხვა) პროექტების ნუსხა და პროგრამის განხორციელებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა განაწილდეს დანართი №1-ის შესაბამისად, (დანართი №1 თან ერთვის 4 ფურცლად);
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ, პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების მიზნით უზრუნველყოს ყველა სათანადო ღონისძიების გატარება;
3. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე

ზურაბ ნოზაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ცალკეულ სოფლებში განსახორციელებელი სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2019				დანართი №1
N	დასახლების სახელწოდება	საპროექტო წინადადება	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი
1	ალი	სოფლის სასაფლაოს შემოღობვა	კონსულტაცია	20000
2	ბრილი	გარე განათების მოწყობა	საერთო კრების სხდომა	12000
3	ახალბანი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	10000
4	დუმბეცხვი	გარე განათების მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10000
5	ზემო აძვისი	თავშეყრის ადგილის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	10000
6	კლდისწყარო	მისასვლელი და შიდა გზების რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	10000
7	ცხეთიჯვარი	სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	10000
8	უწლევი	მისასვლელი და შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	5000
		ატრაქციონების მოწყობა		5000
9	ნახატევი	გარე განათების მოწყობა	კონსულტაცია	7000
		ბეტონის საფარის მოწყობა		9000
10	ქინძათი	მოსაცდელის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	12000
11	გომი	გომის საჯარო სკოლის შემოღობვა	კონსულტაცია	20000
12	ხიდის ყური	თავშეყრის ადგილის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10000
13	ვაკა	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	კონსულტაცია	20000
14	ქვემო აძვისი	სანიაღვრე არხის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10000
15	დიდი სატყე	გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	12000
16	პატარა სატყე	მოსაცდელის აშენება	საერთო კრების სხდომა	10000
17	აგარები	სანიაღვრე არხის გაწმენდა; ტროტუარის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10000
18	ზემო ოსიაური	ოსიაურის საჯარო სკოლის ეზოში სანიაღვრე არხის მოწყობა	კონსულტაცია	5000
		ე.წ. „ხაშური 2“ გზის რეაბილიტაცია		15000
19	ქვემო ოსიაური	შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა	კონსულტაცია	16000
20	ახალსოფელი	სასაფლაოს შემოღობვის დასრულება	საერთო კრების სხდომა	10000
21	დიდი ბეკამი	წყლის ახალი რეზერვუარის მოწყობა არსებულის გვერდით	საერთო კრების სხდომა	10000
22	პატარა ბეკამი	წყლის არსებული სისტემის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	12000
23	ურთხვა	შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10000
24	ზეკოტა	შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10000
25	ბოჯნისი	სოფლის ახალი სასაფლაოს გზის მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	6000
		სოფლის ცენტრში, წყაროსთან მდებარე ხიდის აღდგენა		6000
26	დაბა სურამი	ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა	კონსულტაცია	20000
27	დიდი ფლევი	სასაფლაოს შემოღობვა	საერთო კრების სხდომა	12000
28	პატარა ფლევი	სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოხრეშვა (მოწყობა)	საერთო კრების სხდომა	10000
29	ნავარგორა	სასმელი წყლის რეაბილიტაცია (მოწყობა)	საერთო კრების სხდომა	12000
30	ტკოვა	ატრაქციონების, სკამების, მცირე ზომის ურნების შექმნა/მოწყობა	საერთო კრების სხდომა	16000
31	ქვიშეთი	ატრაქციონების შესყიდვა	კონსულტაცია	20000
32	ტაშისკარი	სოფლის შესასვლელის გარე განათებით მოწყობა	საერთო კრების სხდომა	12000
33	მონასტერი	სანიაღვრე არხის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10000
34	ბედლეთი	შიდა გზების დახრეშვა	საერთო კრების სხდომა	8000
		სანიაღვრე არხის მოწყობა		2000
35	ბულბულისციხე	სტადიონის კეთილმოწყობა	საერთო კრების სხდომა	10000
36	სათიე	ატრაქციონების შესყიდვა	საერთო კრების სხდომა	10000
37	სარმანიშვილისკარი	სავალი გზის ბეტონით შემაგრება	საერთო კრების სხდომა	10000
38	ტეზერი	შიდა გზების დახრეშვა	კონსულტაცია	16000

39	ყვიანთუბანი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	12000
40	სავანისუბანი	შიდა გზების მოხრეშვა, ცხურის გაკეთება	საერთო კრების სხდომა	12000
41	რუსანთუბანი	გარე განათების მოწყობა (სოფლის შესასვლელი)	საერთო კრების სხდომა	10000
42	ცხრამუხა	საჯარო სკოლის დაზიანებული მესერის შეცვლა	კონსულტაცია	20000
43	თაგვეთი	გარე განათების დასრულება	საერთო კრების სხდომა	10000
44	რბონა	გარე განათების მოწყობა	საერთო კრების სხდომა	5000
		გზის შეკეთება (დახრეშვა)		5000
45	ქემფერი	სოფლის საუბნო გზების დახრეშვა	საერთო კრების სხდომა	12000
46	ცოცხარა	ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა	საერთო კრების სხდომა	5000
		მოსაცდელის მშენებლობა	საერთო კრების სხდომა	7000
47	წახლევანა	სარტყალო დარბაზის მშენებლობის გაგრძელება	საერთო კრების სხდომა	10000
48	ცეცხი	სასმელი წყლის სისტემის დასრულება	საერთო კრების სხდომა	10000
49	ოძისი	სოფლის საუბნო გზების დახრეშვა	საერთო კრების სხდომა	10000
50	ციცყარო	სოფლის გზების დახრეშვა	საერთო კრების სხდომა	10000
51	წაღვი	შიდა გზების მოხრეშვა	კონსულტაცია	16000
52	კლდისწყარო	ბროლოსის საჯარო სკოლის მიმდებარე ამბულატორიის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	30000
53	ქვემო ბროლოსანი			
54	ზემო ბროლოსანი			
55	ჩორჩანა	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10000
56	წელვერი	სასმელი წყაროს სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	10000
57	ტიტინისწყარო	შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10000
58	წრომი	სოფლის ცენტრის ტერიტორიის კეთილმოწყობა და სკვერის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	12000
59	ახალხენი	შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10000
60	ნადარბაზევი	შიდა გზების მოხრეშვა/მოშანდაკება	საერთო კრების სხდომა	10000
		არტეზიული ჭის მოწყობა		
61	იმერლანთკარი	სოფელში მისასვლელი გზის მოხრეშვა/მოშანდაკება	საერთო კრების სხდომა	10000
62	დიდი ყელეთი	სოფლის შიდა საუბნო გზების მოხრეშვა/მოშანდაკება	საერთო კრების სხდომა	10000
63	პატარა ყელეთი	სოფლის შიდა საუბნო გზების მოხრეშვა/მოშანდაკება	საერთო კრების სხდომა	10000
64	ხეისი	მცირე სამანქანო ხიდბოგის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	16000
65	მიწობი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია/მოწყობა	საერთო კრების სხდომა	12000
66	კრისხევი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია/მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10000
67	დიდი ხალეზი	სოფელ დიდი ხალეზის შიდა საუბნო გზის დაზიანებული უბნების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10000
68	პატარა ხალეზი	ხაშური-პატარა ხალეზის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის დაზიანებული უბნების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10000
69	ღართა	ხაშური-ღართას დამაკავშირებელი გზის მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10000
70	სარტყელა	სოფლის მოსახლეობის თავშეყრის ადგილის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	5000
		ხაშური-სარტყელას დამაკავშირებელი გზის დაზიანებული უბნების მოხრეშვა		5000
71	ღვრიწყალი	სოფელ ღვრიწყალში არტეზიული ჭის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10000
				844000

შეხვედრა სოფელ ჩორჩანის მოსახლეობასთან

შიდა ქართლის რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე რუსლან აბაშიძე და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი ხაშურის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ჩორჩანაში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ადგილზე იმსჯელეს არსებულ საჭიროებებზე. შეხვედრისას გზის რეაბილიტაციისა და წყლის მიწოდების საკითხები გამოიკვეთა.

„საოკუპაციო ხაზთან ერთად, ჩორჩანა მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მქონეა. ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვთ ისარგებლონ, ყველა იმ შეღავათით, რასაც სახელმწიფო სთავაზობს. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მიმდინარე წელს ვვგეგმავთ მოვავართო სასმელი წყლის საკითხი და მოვზრდეთ გზები, ხოლო შემდეგი წლისთვის დაგეგმავთ გზის კაპიტალურ რეაბილიტაციას. საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით ინტენსიურად ვთანამშრომლობთ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებასთან, - აღნიშნა მხარის რწმუნებულმა.



- პოზიცია -

კი მაგრამ, ბნელა?

ნათქვამია, როცა ადამიანი ბერდება, ინტერესთა წრე უფრო ვიწროვდება. ეს ნახევრად სიმართლეა და ალბათ, მაშინ ითქვას, როცა ცხოვრება ისე არ ბობოქრობდა, როგორც ახლა. ყოველ დღე ხომ ახალ-ახალი საზრუნავი და თავსატეხი გვიჩნდება.

80 წელს მიახლოებული კაცი ემოციურად თითქოს აღარ უნდა რეაგირებდეს მიმდინარე პროცესებზე, მაგრამ ის მაღელვებს, რომ ვერ ვეღირსე დამშვიდებულ სიცოცხლეს და ცხოვრებას. ამ ხნის განმავლობაში, ოცამდე საკავშირო და რესპუბლიკური მთავრობა შეიცვალა, მაგრამ მათგან ისე არაფერი წასულა პოსტიდან ან სიცოცხლიდან, რომ მაღლიერი შთამომავლობა დაეტოვებინა, ყველას ლანძღვა-გინებით იხსენიებენ. მძლავრობდა ძალა, რასაც თან ახლდა შეთქმულებები, დალატი, დამსობა-გადატრიალებები, ძალმომრეობა და ა.შ. რის შედეგადაც, არც თუ ისე იშვიათად, ხელისუფლების სათავეში ექცეოდნენ უღირსი ადამიანები.

ვიცი, რომ ამ წერილის დაწერა-წაკითხვით ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტებსაც კი არ უსმენენ, არაფერი შეიცვლება, მაგრამ მაინც მინდა შებოჭილ აზრებს გულის კარი გაფულო და ქვემოთ წარმოთქმული საკითხების ირგვლივ დავსვა კითხვები.

თემატური თანმიმდევრობის დაცვის გარეშე მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებებს:

1. დემოკრატიის პრინციპი გულისხმობს უმცირესების დამორჩილებას უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი.

როგორ მოიქცნენ ჩვენთან საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული ძალები? მსოფლიომ აღიარა არჩევნების შედეგები, ჩვენმა ვითომც დემოკრატებმა კი-არა. ნუთუ მათ ხმათა მეტ-ნაკლებობა ვერ გაარჩიეს და ასეთი ჭკუით უნდათ მართონ ქვეყანა?

2. რატომ შეიძლება ვინმეს თანამდებობაზე არჩევა და არ შეიძლება მისი გადარჩევა? ნუთუ სკამის მონაცვლეობის საფუძველი სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობა ან პირადი თხოვნა უნდა იყოს?

3. რატომ ითვლება მიუღებლად საკუთარი აზრის გამოთქმა, თუ წინასწარ არ არის შეთანხმებული გუნდთან? გუნდურობის პრინციპი ხომ არ უწყობს ხელს დემოკრატიის დათრგუნვას, მლიქვნელობას და ქვეშამძრომობას?

4. საკმარისად პრინციპული ნაბიჯები გადაიდგა მცირე მთავრობის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ შენარჩუნებულია შერიგების სამინისტრო და მინისტრის თანამდებობები.

ერთი მიზრძანეთ, რომელი სახელმწიფოთაშორისი შერიგებები განხორციელდა ამ სამინისტროს მიერ და რამდენი ღარი დაიხარჯა სახელმწიფო მინისტრის აპარატის შესანახად, და კიდევ, თუ ამ უწყების ხელმძღვანელი სახელმწიფო მინისტრია, სხვა მინისტრები კომერციულები არიან?

შერიგების სამინისტროს ფუნქციები უკეთესი იქნებოდა, თუ გადავიდოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს განმგებლობაში.

5. რაც შეეხება ყოფილ ჯანდაცვის და განათლების სამინისტროებს, მათ ისეთი ფუნქციები დააკისრეს, რასაც არაფერი საერთო არ აქვს მათ დასახელებასთან.

6. არსებობს ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელმაც თურმე გასულ წელს მილიონობით ღარი ვერ აითვისა, როგორ გავივით ეს? ან ყველაფერი გაკეთდა სამინისტროში, ან-არაფერი. აქ გარკვეულწილად, უარყოფითად მოქმედებს ტენდერომანია. ოღრო-ჩოღრო გზაზე რომ ორი მანქანა ღორღი დაეარონ, ტენდერი უნდა გამოაცხადონ, დრო კი მიდის და მიდის.

ჩემი უბანი ძირითადი სოფლიდან ორი კილომეტრითაა მოშორებული, ეს არის ვაკე ადგილი, სადაც არც კლდეებია მოსანგრევი და არც გვირაბებია გასაყვანი, მაგრამ ვაი, სირცხვილო, რომ ნოემბრიდან მაისამდე მსუბუქი მანქანით გადაადგილება შეუძლებელია.

7. ახლა ლაპარაკი დაიწყო სასამართლო ომბუდსმენის აპარატის ჩამოყალიბების შესახებ. ვაი, სირცხვილო, სახელმწიფოში ოთხი ინსტაციის სასამართლო არსებობდეს და კაცი სამართალს ვერ პოულობდეს? ეს ხომ იგივეა, მარნის ყარაულს რომ ყარაული დაუყენეს, ღვინო არ მოიპაროსო. აქ ერთი ამბავი მახსენდება, ძაღლისგან დაკბენილი კაცი სასამართლოში წავიდა საჩივრელად. რამდენიმე ხნის შემდეგ მეგობარმა კითხა, თუ როგორ დასრულდა სასამართლოში საქმე. დაკბენილმა კაცმა კი უპასუხა: გამამტყუნეს, დამიმტკიცეს, რომ მე ვუკბინე ძაღლსო.

8. ქვეყანაში, სადაც არსებობს უმაღლესი სასამართლო, არის თუ არა საჭირო ან აუცილებელი ფუნქციონირებდეს საკონსტიტუციო სასამართლო?

საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის რომელიმე მუხლთან, მაგრამ გაიხსენეთ, რამდენჯერ გამოიწვია მისმა გადაწყვეტილებამ ხალხში აზრთა სხვადასხვაობა.

ახლა მიზრძანეთ: დანაშაულად მიჩნეული რომელი ქმედება არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას? და კიდევ: აკნინებს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო არსებული სასამართლოების ავტორიტეტსა და როლს?

9. რადგან სასამართლოები ვახსენე, მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა მოსამართლეთა უვადოდ განწესებისა და დამნაშავეთა მიმართ სასჯელის სახით პატიმრობის უვადოდ მისჯის შესახებ.

მაკვირვებს მრავლად არსებული ფილოლოგების და ენათმეცნიერების მხრიდან ათწლეულობის განმავლობაში დუმილი სიტყვა “უვადოს” განმარტების შესახებ.

“უვადო” ნიშნავს ვადის განუსაზღვრელობას, მას არ აქვს დროის დამთავრების ზღვარი, აქედან გამომდინარე, უვადოდ დანიშნული მოსამართლე, შეიძლება დანიშნისთანავე გაათავისუფლო თანამდებობიდან, ანდა, პატიმარი განაჩენის გამოცხადებისთანავე გაათავისუფლო პასუხისმგებლობისგან. საკითხავია, რატომ გულისხმობენ უვადოდ დანიშნაში სიკვდილამდე დანიშნას? ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება, თუ გამოყენებულ იქნება სიტყვები: “დანიშნოს საპენსიო ასაკის მიღწევამდე”. ხოლო, რაც შეეხება პატიმრებს, აქ გამოყენებული უნდა იქნას სიტყვები: “მიესაჯოს პატიმრობა მისი სიცოცხლის დასასრულამდე”. ორივე შემთხვევაში, გასაგებია, რომ უვადო, მუდმივი და უსასრულო არაფერია. ვერც მოსამართლე იცოცხლებს მუდმივად და ვერც პატიმარი. მათი სიცოცხლის ვადა უზენაესისგანაა განსაზღვრული.

10. მე ჯეროვნად არ ვიცი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურას და ფუნქციებს, ამიტომაც ვერ დავადასტურებ მისი არსებობის სარგებლიანობას. ის კი აშკარად ჩანს, რომ ამ უწყებას სურს დადგეს სახელმწიფოზე მაღლა. ცალკეულმა მოსამართლეებმა თუ რა უბედურებას გადაყარეს ათასობით ჩვენი თანამოქალაქენი, ეს კარგად მოგეხსენებათ.

ჩემთვის პასუხგაუცემელია კითხვა, რა სარგებლობა მოაქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებობას და რა ზიანს მოუტანს საზოგადოებას მისი დაშლა და გაუქმება.

11. სახელმწიფო რატომ ვერ ასხვავებს ოპოზიციურად და მტრულად განწყობილ ძალებს? რატომ აძლევს არსებობის უფლებას ძალებს, რომელიც ახალგაზრდობას უქადაგებს სამშობლოს დაცვიდან თავის არიდებას? ვინ უნდა დაიცვას ჩვენი ქვეყანა მომავალში თუ ომში პატრიოტები დაიხოცებიან და ლაჩრები მათ შესანდობარს ფეხზე აღვლით შესვამენ.

12. ჩაურევლობის, ხელშეუხებლობის და თავისუფლების პრინციპებზე მიტმანნილი თავაშეგებულობის გამო, მედიის ყველა საშუალებებით, უმეტესად, უარყოფითი ინფორმაცია გვემის. ნუთუ ქვეყანაში კარგი არაფერი კეთდება, რომ მომდომარი სახეებიც დავინახო? მომენტრად მოკისკისე ახლგაზრდების დანახვა-მოსმენა. ამდენი უარყოფითი ინფორმაციის გამო, მკვიდრდება პესიმისტური განწყობილება ქვეყანაში. ადამიანებს ერთმანეთი აღარ უყვართ, შურით და ბოღმით დაიმუხტნენ, მდიდარი ადამიანები შექუდილდნენ, მაგრამ გაჭირვებულებიც აღარ ებრალებათ და აღარ უზიარებენ მათ ლუკმას.

ქვეყანაში იმდენი სიმდიდრეა დაგროვილი, ჰუმანური, სოციალურად სამართლიანი განაწილება რომ არსებობდეს, ყველანი ბედნიერად იცხოვრებდნენ.

მიკვირს, ამდენ კრიტიკას, ცილისწამებას, ლანძღვა-გინებას როგორ ითმენენ და იტანენ ხელისუფალნი. მათ თუ თმენის ვაღდებულეა აქვთ, ვინ მისცა უფლება შარიანებს, ურცხვად შეღახონ მათი ღირსება? ბნელა? 13. სახელმწიფოში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად საზღვარგარეთიდან კი არ უნდა ვიწვევდეთ დამხმარეებს, არამედ ჩვენს ქვეყანაში არსებულ რესურსებს და პოტენციალს უნდა ვაგვიკეთოთ მობილიზება. ჩვენ ხომ მეცნიეთა და სპეციალისტთა უნიჭიერესი კორპუსი გავგაჩნია. რა გვჭირს საიმისო, რომ უცხოელმა სპეციალისტებმა დაგვიპროექტონ ნაგებობანი?

14. ნუთუ სახელმწიფოში ათიოდე პატიოსანი და გამოცდილი იურისტი არ მოიძებნება, რომ ღირსეული კადრებით დავაკომპლექტოთ მოსამართლეთა კორპუსი? ვანა ტყავშეცვლილობა გაკეთილშობილებას ნიშნავს?

რა გვაქვს ისეთი, რომ კეთილი და ბოროტი, კარგი და ცუდი, სამართლიანი და უსამართლო, მტერი და მოყვარე ვერ გავარჩიოთ ერთმანეთისგან და გადამთიელების რეკომენდაციების მიხედვით ვმართოთ ქვეყანა?

კი მაგრამ, ბნელა?

რევაზ გრიგალაშვილი

ჩვენი მასპინძელი ამჯერად სურამის საბავშვო ბაღია. როგორც აღმოჩნდა, გარდა საოცარი მდებარეობისა, საბავშვო ბაღს ისტორიაც მნიშვნელოვანი და საინტერესო აქვს. დღეს სურამს მხოლოდ ეს საბავშვო ბაღი ემსახურება, სამომავლოდ, დაგეგმილია ჩუმათელეთში საბავშვო ბაღის აშენება, რადგან არსებული საბავშვო ბაღი ამ ეტაპზე, ყველა მომართვის დაკმაყოფილებას ვერ ახერხებს, ჯგუფებიც შევსებულია და ყველა რესურსი ამოწურულია. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო და სხვა პირობებს, ყველაფერი სტანდარტების შესაბამისი და დამაკმაყოფილებელია. ბავშვები ბედნიერები და ლაღები არიან, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებშიც



იღებენ მონაწილეობას და აღსაზრდელებს და მშობლებს ახარებენ. საბავშვო ბაღის მენეჯერმა, გული სხმირმა ქალბატონმა ლეილა გელაშვილმა, რომელიც 20 წელია ამ საქმეს უძღვება, ყველა პროცესი გვანგებნა, რასაც ბავშვი შემოსვლის მომენტიდან, სახლში წასვლამდე გადის.

შემდეგ კი სხვადასხვა, ბაღისთვის მნიშვნელოვან ამბებზე და ისტორიაზე ისაუბრა:

–საკმაოდ დიდი ისტორია აქვს სურამის საბავშვო ბაღს. პირველი საბავშვო ბაღი 1924 წელს გაიხსნა ძალიან პატარა შენობაში, სპარტაკის (ახლანდელი რუსიას) ქუჩაზე, 1936 წელს გადავიდა ლენინის ქუჩაზე, დაქირავებულ შენობაში და მიენიჭა ფილიპე მახარაძის სახელი. 1965 წელს, ბატონ ლევან სალადაიას მონდომებით და უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა დღევანდელი საბავშვო ბაღი ახლოვანი მუხების გარემოცვაში, ლესია უკრაინკას ქუჩაზე. დღეს დაბა სურამს მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი ემსახურება და გათვლილია 100 ბავშვზე. თუმცა, ამჟამად გვყავს 184 ბავშვი. არაა დასაშვები ჯგუფში 25 ბავშვზე მეტის ყოფნა, მაგრამ 40 ბავშვზე ნაკლები არაა ჯგუფში, რადგან სხვა ალტერნატივა არ არსებობს დღეს.



მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ჩვენს საბავშვო ბაღში იზრდებოდნენ სხვადასხვა ეროვნების ბავშვებიც: ებრაელები, ჩინელები, სომხები, რუსები.

– რამდენი ასაკობრივი ჯგუფია?

–გვაქვს ოთხი, ასაკობრივად დაკომპლექტებული ჯგუფი და ერთი შერეული ჯგუფი. ძილის პრობლემა არაა, ყველაფერი გვაქვს იმისთვის, რომ დავაკმაყოფილოთ ყველა ბავშვის მოთხოვნები. დღეს, მაგალითად 142 ბავშვი მოვიდა, მენიუც შესაბამისად შევადგინეთ და ბავშვებს დამატების შესაძლებლობაც აქვთ.

- ინფრასტრუქტურა რამდენადაა მოწესრიგებული?
–2016 წელს პირველი სამუშაოები ჩატარდა, შეიცვალა სველი წერტილები. მეორე წელს კი მთლიანად შეიცვალა ინფრასტრუქტურა, ეტაპობრივად

ხდება განახლება ყველა ინვენტარის და საჭირო ნივთების.
- სულ რამდენი თანამშრომელი ემსახურება საბავშვო ბაღს?

–21 პერსონალია. ოთხი პედაგოგი, ოთხი აღმზრდელის თანამშემწე, ლოგოპედი, მეთოდისტი. ყველა კვალიფიციური კადრია, თავისი საქმის მცოდნე. მასწავლებლების გადამზადებაც ეტაპობრივად

და სისტემატურად ხდება, რაც მნიშვნელოვანია, ბავშვებთან ურთიერთობისთვის, რადგან პირველი აქტიური შეხება, მათ საბავშვო ბაღებიდან უწევთ. ამიტომ, ყველანაირად ვცდილობთ მთელი პერსონალი, შევუქმნათ მათთვის საინტერესო და მათზე ორიენტირებული გარემო.

- რადგან სურამს მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი ემსახურება, როგორ აკმაყოფილებთ მსურველთა მომართვიანობას?

–მომართვიანობა იმდენად დიდია, ბუნებრივია, მოთხოვნას ვერ



ვაკმაყოფილებთ, ახლაც, 34 სამწლიანი ასაკის ბავშვს ეთქვა უარი მიღებაზე. საუბარია ჩუმათელეთში საბავშვო ბაღის გახსნაზე, რაც დიდი შედეგიათი იქნება სურამისთვის. ამ ეტაპზე ჩვენი საბავშვო ბაღით სარგებლობენ ჩუმათელეთის, ურთხვის, ზეკოტის, ცოცხნარიდან ტრანსპორტი ემსახურება 19 ბავშვს.

- რა პრობლემა აქვს ბაღს ამ ეტაპზე, რისი მოგვარებაც ყველაზე მნიშვნელოვანია?

–ჩვენი ძირითადი პრობლემა ეზოა. აუცილებელია, ბავშვები გარეთ გადიოდნენ სათამაშოდ.

- როგორც ვიცი, თქვენი აღსაზრდელები ბევრ კონკურსსა თუ კულტურულ ღონისძიებებში არიან ჩართულები...

–სწორად გვაქვს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები და აქტივობები, სადაც მშობლებიც აქტიურად არიან ჩართულები. ცეკვის მასწავლებელიც დადის მშობლების მოთხოვნით, ბავშვები ფესტივალებზეც გადიან და კარგი შედეგითაც ბრუნდებიან. ოთხი მედალი და სიგელი გვაქვს სხვადასხვა ფესტივალებიდან. 2017 წელს ხაშურში ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების VI ფესტივალზე, საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის ახსაზრდელები დაჯილდოვდნენ ოქროს მედლით და ლაურიატის წოდებით. მიწვეულები ვიყავით ახალციხეში ჩატარებულ ფესტივალში “საქართველოს მარგალიტები”, სადაც საბავშვო ბაღი დაჯილდოვდა ოქროს მედლით და მონაწილე აღსაზრდელები სიგელებით. სამომავლოდ კიდევ არაერთი ღონისძიებაა დაგეგმილი, სადაც ასევე დიდი აქტიურობით ჩავერთვებით.

როდესაც საბავშვო ბაღების რუბრიკა დავამკვიდრეთ, ვფიქრობდით, რომ შეიძლებოდა მკითხველისთვის მოსაწყენი ყოფილიყო, თუმცა თითოეულ ბაღში სტუმრობამ დაგვანახა, რომ ყველა განსხვავებულია თავისი ისტორიით, დამოკიდებულებით. მიუხედავად ამ განსხვავებულობებისა, საერთო მანძი ერთი და მნიშვნელოვანია, ბავშვზე ზრუნვა და სიყვარული. თ. ჭავჭავაძის

სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის პირობების გარეშე 20 მილიონი ლარი იქნება


სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობამ 20 მილიონი ლარი გამოყო. პროგრამა მუნიციპალიტეტებიდან შემოსული მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შემუშავდა. პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების განხორციელების შედეგად გატარდება პრევენციული ღონისძიებები სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად. სტიქიის პრევენცია მოიცავს და გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორცაა: რისკის შემცველ გზებსა და მდინარეებზე პრევენციული ღონისძიებებისთვის პროექტირება და მშენებლობა, ნაპირსამაგრი სამუშაოები, მდინარეების კალაპოტების გაწმენდა, სანიაღვრე არხების მოწესრიგება, მეწყერების და ღვარცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებები. პროგრამის განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში უკვე გათვალისწინებულია შესაბამისი თანხები. პროგრამის მაქსიმალური მოცულობა 20 000 000 ლარია.



- 90 - იუბილე - 90

ჯაცი, რომელიც მუჭა-მუჭა ნაგროვებ სიკეთეს გასცემს

არიან ადამიანები, რომელთა მთელი ცხოვრების კრედი სიკეთის თესვაა. ჩუმათ, უპრეტენზიოდ, შეუმჩნევლად აკეთებენ თავის საქმეს, გულთ მხოლოდ მოყვასის სიყვარულს დაატარებენ და სამშობლოს იმ ჯარისკაცებად დაიარებიან, რომელთა მხრებზე დგას მამულის სიძლიერე. სწორედ ასეთი ადამიანები ქმნიდნენ ისტორიას და მათი სიმრავლე იყო ქვეყნის კეთილდღეობა. საბედნიეროდ,



ჩვენს პატარა ქალაქშიც არიან ასეთი პიროვნებები, ათეული წლები რომ იშრომეს, იღვაწეს და მათი წინმდგომი თაობის გაკვალული ბილიკი ფართო შარავნად აქციეს. ერთ-ერთი მათგანია მირიან სახვაძე, საპატიო რკინიგზელი და დამსახურებული მუშაკი. ამ ჯილდოების უკან კი ის თავდადებული შრომაა, რომელიც სამამულო ომის შემდეგ, ასე ჭირდებოდა ქვეყანას. სწორედ მისი თაობა იქცა, ომგამოვლილი ქვეყნის აღმშენებლად და ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულეს.

1929 წლის 1 მარტს დაიბადა ბატონი მირიანი. არ ერგო

მის თაობას დალხინებული ცხოვრება. ან რა დალხინება ზეა საუბარი. იმ საშინელ წლებს, მისი სიყმაწვილე რომ ჰქვია, ომის ქარ-ცეცხლიც დაემატა და 14 წლისას უკვე შრომის ფერხულში ჩაბმამ მოუწია. ომი ჯერ დამთავრებული არ იყო - 1943 წელს, სულ პატარა ბიჭი მივიდა რკინიგზელთა ოჯახში და წლების შემდეგ ამ უზარმაზარი, ათიათასკაციანი კოლექტივის თვალსაჩინო პროფესიონალად იქცა. უბრალო მუშით დაიწყო მისი შრომითი საქმიანობა. კიევის კავშირგაბმულობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი უფროსი მექანიკოსი და ლაბორატორიის ხელმძღვანელი გახდა. 62 წელი იღვაწა კავშირგაბმულო-

ბის დისტანციაში. ჰქონდა შეთავაზებები, დედაქალაქში თხოვდნენ გადასვლას, მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლია თავისი კოლექტივის და თავისი ქალაქის მიტოვება. 62 წელი მთელი ეპოქა და ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ დღეს ამ სამმართველოში დასაქმებული მუშაკების აბსოლუტური უმრავლესობა მისი აღზრდილი და დამოძღვრილია.

ბრწყინვალე ოჯახიც შექმნა ბატონმა მირიანმა. სამწუხაროდ, მისი ცხოვრების უერთგულესი მეგობარი, ქალბატონი ციალა აღარ ჰყავს გვერდით, მაგრამ შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები არიან დღეს მისი სიხარული. ასაკის მიუხედავად, ვერც ახლა ნახავთ გაჩერებულს. ოჯახში კაცის საქმეს რა გამოლევს და ისიც უძღვება ამ დიდ ოჯახს, უძღვება ისე, როგორც მთელი განვლილი ცხოვრების წესი ჰქონდა - ჩუმათ, უპრეტენზიოდ და სიყვარულით.



სურათზე: დიდი და პატარა მირიან სახვაძეები

1 მარტს ბატონი მირიანი 90 წლის ხდება. ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით, ვულოცავთ ამ ღირსეულ კაცს იუბილეს და ჯანმრთელობას და უღვევ სიხარულს ვუსურვებთ. და ერთიც: სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია - დღეს საქართველოში თუ რამის დეფიციტია, ეს წესიერი (ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო გაგებით) კაცების დეფიციტია, ისეთი კაცების, როგორც ბატონი მირიანია. ამიტომაც მინდა, ჩემს ქვეყანას მისნაირების სიმრავლე ვუსურვო, რომ ხვალინდელი საქართველო ისეთი ვიხილოთ, როგორც თითოეული ქართველი ოცნებობს.

გოგი გოგოლაძე

საყოველთაო ხედმისანვლომობა კეთილდღეობაზე - აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალი მიზანი

2019 წლის 8 თებერვალს, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე დასასწრებად „აღმოსავლეთ პარტნიორობის ესტონური ცენტრის“ ინიცირებითა და მხარდაჭერით ქართველი ჟურნალისტები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების წარმომადგენლებიც ვიმყოფებოდით. გარდა ამ ორგანიზაციისა, აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის მომზადებაში ჩართულები იყვნენ ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ევროკომისიაში ესტონეთის წარმომადგენლობის ტალინის ოფისი. კონფერენციამ შეაჯამა ათწლიანი საქმიანობა, რაც პრადის სამიტზე




ევროკავშირსა და 6 აღმოსავლეთ პარტნიორს - საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, მოლდოვას, უკრაინასა და ბელარუსს შორის დადებული ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეკონომიკა დღეს გაცილებით გაუმჯობესებულია, ვიდრე ამ ათი წლის წინ, - მცირე და საშუალო ბიზნესი ამ ქვეყნებში დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე ადრე. 300 000-ზე მეტ სტუდენტს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან პროგრამა „ერაზმუს+-“ის ფარგლებში, შესაძლებლობა მიეცა, ესწავლათ სხვადასხვა ევროპულ უნივერსიტეტებში. - აღნიშნა კონფერენციაზე ევროკომისიაში ესტონეთის წარმომადგენლობის თავმჯდომარე კეიტ კასემეტსმა.

ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა იური რატასმა შეეხო იმ გარემოებას, რომ მიღწევები, რაც ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის პარტნიორობას მოსდევს, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე

უნდა აისახოს. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანას - საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინასთან დადებული DCFTA (შეთანხმება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ) ისევე, როგორც ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებები და უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, ესტონეთის პრემიერის მოსაზრებით, ის ინსტრუმენტებია, რომელიც ევროპულ სიკეთეებს თითოეული მოქალაქისთვის ხელმისაწვდომს გახდის. - ესტონეთი თავიდანვე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროპასთან ინტეგრაციის დიდი მხარდამჭერი იყო. ეს მხარდაჭერა ჩვენი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს დახმარებას ვუწვევთ ჩვენი დამოცდილების გაზიარებითაც - საჯარო აღმინისტრირების, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მედიის გაძლიერების მიმართულებით, - აღნიშნა იური რატასმა.



კონფერენციის მონაწილეებს მიმართა შევდეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარგო ვალსტორმმა, რომელმაც აღნიშნა, რომ იმ სკეპტიკოსების პასუხად, ვისაც 10 წლის წინ ეჭვი ეპარებოდა აღმოსავლეთ პარტნიორობის წარმატებაში, დღეს ვრწმუნდებით, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა წარმატებული პროექტია. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები აღიარებენ, პატივს სცემენ და ცდილობენ განავითარონ კანონის უზენაესობა, დემოკრატია, ქალისა და მამაკაცის თანასწორობა და სხვა ევროპული ღირებულებები.

კონფერენციაზე გამომსვლელთა შორის, ჩვენს ქვეყანას წარმოადგენდა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე. როგორც მან აღნიშნა, საქართველომ წარმატებით შეასრულა ყველა ის ამოცანა, რაც ამ პერიოდისთვის იყო გეგმით გათვალისწინებული. - საქართველოს მიზანია, იყოს მზად ევროკავშირში გაწევრებისთვის და ამისთვის ჩვენი გეგმები უფრო ამბიციურია, ვიდრე DCFTA ხელშეკრულების ხელმოწერა ან ვიზალიბერალიზაცია. საქართველოს სურს შეუერთდეს სხვა ევროპულ შეთანხმებებსაც და მონაწილეობა მიიღოს სექტორულ პარტნიორობაში, - განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ. ტალინის კონფერენციაზე სიტყვით გამომსვლელთა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა ჩვენი ქვეყნის მიერ ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე წინ გადადგმულ ნაბიჯებს, რაც მნიშვნელოვან წარმატებად ჩაითვალა.

ნ. სუხიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი




- შეხვედრა მწერალთან - ირმა მალაციძე პატარა მკითხველებს ესტუმრა

მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა შეხვედრა ქართველი საბავშვო მწერალ, ჟურნალისტ, მთარგმნელსა და საბავშვო ლიტერატურის ფონდის დამფუძნებელ ირმა მალაციძესთან. შეხვედრას ესწრებოდნენ მე-7 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეები პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად. ქალბატონმა ირმამ დამსწრე საზოგადოებას საკუთარი შემოქმედება გააცნო, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში. შეხვედრის ბოლო კითხვა-პასუხის ფორმატში წარიმართა, ავტორმა ყველა დასმულ შეკითხვას უპასუხა და ავტოგრაფებიც დაარიგა. ქალბატონი ირმა ბიბლიოთეკის დიდი მეგობარია და ხშირად ახარებს თავის პატარა მკითხველს.

- ვერნისაფი - საინტერესო გამოფენა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ „სამუზეუმო გაერთიანების“ მხარდაჭერით, მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, 20 თებერვალს, ორი ახალგაზრდა ხელოვანის - ოთო ქურდაძისა და ელენე ტურაშვილის ნახატების გამოფენა გაიხსნა. მხატვრებმა ერთმანეთი სამხატვრო აკადემიაში გაიცნეს, ამის შემდეგ

ისინი ერთად მუშაობენ და უკვე მესამე გამოფენას აწვობენ, თუმცა ხაშურისთვის მათი ნამუშევრები სიახლეა. სამომავლოდ ახალგაზრდებს ჩაფიქრებული აქვთ, გასცდნენ საგამოფენო სივრცეს, გააფართოვონ შემოქმედებითი არეალი და საინტერესო პერფორმანსებიც წარმოუდგინონ საზოგადოებას. ნახატების გამოფენა-გაყიდვა მუზეუმის საგამოფენო სივრცეში ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.



იქმნება მასწავლებელთა სათათბირო

ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა სათათბირო” იქმნება. 2019 წლის 14 თებერვალს, სათათბიროს შექმნის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, შეხვედრა გაიმართა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეებთან. სათათბიროს საქმიანობის მიზანი იქნება, მასწავლებელთა ინიციატივების განხილვა, რიგ საკითხებზე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, სკოლებს შორის კოლაბორაციული ურთიერთობების გადრმაგება, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, რესურსცენტრისა და სამინისტროსთვის რეკომენდაციების მიცემა მნიშვნელოვან საკითხებზე და ა.შ. სათათბიროს წევრი მასწავლებელი, სკოლის არცერთი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი არ იქნება და მას პედაგოგიური საბჭო აარჩევს სრული შემადგენლობის უმრავლესობით;

მადლობა მერს, რომელიც სოციალურად დაუცველ ოჯახს გვერდში დაუდგა

გასულ წელს, სურამში, გულიკაშვილების ოჯახის ტრაგედია, როდესაც მათ სახლი დაეწვათ, ბევრმა მიიტანა გულთან. თუმცა, დახმარება, რომელიც მათ გაუწიეს, ნამდვილად არ აღმოჩნდა საკმარისი და დღესაც ეს ოჯახი უკიდურესი გაჭირვების ზღვარზეა. ამ რამდენიმე დღის წინ, სურამში, მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ გიორგი გურასპაშვილს, ვთხოვეთ გამოენახა დრო და კიდევ ერთხელ ენახა ამ ოჯახის მდგომარეობა. ბატონმა გიორგიმ თხოვნაზე სწრაფი რეაგირება მოახდინა და ჩვენ ერთობლივად, იმავე დღეს მოვინახულეთ ეს ოჯახი. მუნიციპალიტეტის მერი ყველანაირ დახმარებას დაჰპირდა მათ და მჯერა, შეასრულებს კიდევ-გახეთის საშუალებით, მინდა მადლობა გუთხრა, ბატონ გიორგის, რომლის სტუმრობამ გულიკაშვილების ოჯახს იმედის სხივი გაუჩინა და ხვალინდელი დღის შიში გაუქრო.



მერი ლურსმანაშვილი ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სურამის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი.



გაზაფხულის მოზრდნებას, ერთდროულად ვესალმებით, მე და ჩემი თვალხატულა, მეტიჩარა კესანები.

D განცხადება

ცნობილმა უროლოგმა, იური წერეთელმა, განაახლა ხაშურში მუშაობა. პაციენტების მიღება იწარმოებს სამშაბათობით და ხუთშაბათობით 10 საათიდან 15 საათამდე. მისამართი: ხაშური, ფარნავაზის ქ. №5 „კლინიკა გორიმედი“

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუსიაშვილი.